უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს ქრისტეს შობის დღესასწაული მიულოცა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 07.01.2024. *მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღესასწაული მიულოცა. მისალოც წერილებში, რომელთა ადრესატები არიან ანტიოქიის უნეტარესი პატრიარქი იოანე X, იერუსალიმის უნეტარესი პატრიარქი თეოფილე III, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, სერბეთის უწმინდესი პატრიარქი პორფირე, რუმინეთის უნეტარესი პატრიარქი დანიელი, ბულგარეთის უწმინდესი პატრიარქი ნეოფიტე, ტირანისა და სრულიად ალბანეთის უნეტარესი მთავარეპისკოპოსი ანასტასი, ვარშავისა და სრულიად პოლონეთის უნეტარესი მიტროპოლიტი საბა, ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის უნეტარესი მიტროპოლიტი როსტისლავი, სრულიად ამერიკისა და კანადის უნეტარესი მიტროპოლიტი ტიხონი,*

ოხრიდისა და მაკედონიის უნეტარესი მთავარეპისკოპოსი სტეფანე, კერძოდ, ნათქვამია:

გულითადად მოგესალმებით და გილოცავთ ქრისტეს შობის ნათელ დღესასწაულს და ახალ წელს.

სულიერი თვალით ჭვრეტს რა ღვთისმოსაობის დიდ საიდუმლოს (1 ტიმ. 3:16), ზეციერი და მიწიერი ეკლესია სიხარულით ადიდებს გულუხვ ღმერთს, რომელიც სამყაროში მოვიდა, რათა იხსნას დაკარგულნი (მთ. 18:11), განაახლოს ადამიანური ბუნება და გვიბოძოს მარადიული ცხოვრება თავისთან ერთობაში.

მადლიერებით ვპასუხობთ რა შემოქმედის გამოუთქმელ სიყვარულს ადამიანების მიმართ, ჩვენ გულმოდგინედ შევთხოვთ მას, ყოველგვარი მტრობისა და უწესრიგობის დაძლევას, განყოფის კურნებას, მშვიდობისა და სულიერი სიმტკიცის მოფენას ყველაზე, ვინც დღეს სიტყვითა და საქმით მოწმობს შობილ ქრისტეს.

ამ სადღესასწაულო დღეს ლოცვით გისურვებთ თქვენ ჯანმრთელობას, სულიერ სიხარულს და ღვთის მოუკლებელ შეწევნას თქვენს მაღალ საწინამძღვრო მსახურებაში.

ქრისტეში ძმური სიყვარულით,

+ კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91211/